ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.01.19

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/19

შეკითხვა:

ადვოკატი არის სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის. შეუძლია, თუ არა მან გაუწიოს საადვოკატო მომსახურება დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს სისხლის სამართლის საქმეზე? კერძოდ, ადვოკატმა უნდა შეადგინოს სამართლებრივი დოკუმენტები და წარუდგინოს საგამოძიებო ორგანოს, როგორც დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენელმა.

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) – „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 – „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში, რაც ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია.

ადვოკატი ვალდებულია კონსულტაციის მიღების მსურველ პირს, საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე განუმარტოს თავისი სპეციალიზაციის შესახებ. ამ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა აცნობოს იურიდიული მომსახურების მიღების მსურველ პირს, რომ ის არ არის

კვალიფიციური - სპეციალიზირებული სისხლის სამართლის მიმართულებით და შესაბამისად, როგორც ადვოკატის სტატუსით ვერ გაუწევს მას საადვოკატო მომსახურებას.

დასკვნა:

სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს იურიდიული კონსულტაციის გაწევის დაწყებამდე, უნდა განუმარტოს, რომ მას ვერ გაუწევს სამართლებრივ დახმარებას, როგორც ადვოკატი, რადგან არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.